სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 07

2013 წლის 25 თებერვალი

ქ. თბილისი

ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2013 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და იურიდიული და ფიზიკური პირების განცხადების ფორმების დამტკიცების შესახებ

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის, „ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის გრანტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის N150 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ", „ე" და „თ" ქვეპუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2013 წლის 25 თებერვალს „ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2013 წლის კონკურსი";
2. „ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2013 წლის კონკურსში" ელექტრონული რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს 2013 წლის 26 თებერვლიდან 2013 წლის 28 მარტის 24.00 საათის ჩათვლით;
3. „ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2013 წლის კონკურსში" მონაწილეობის შესახებ განცხადების ფონდში წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2013 წლის 2 აპრილი, 18:00 საათი;
5. დამტკიცდეს „ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2013 წლის კონკურსი"-ს პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1 - ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს „ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2013 წლის კონკურსში" მონაწილეობის შესახებ იურიდიული და ფიზიკური პირების განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
5. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონსულტანტს მეცნიერების პოპულარიზაციის საკითხებში (დ. გუგავას) წინამდებარე

შემსრულებელი:
ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მარიამ იაშვილი _____

შეთანხმებულია:

ფინანსური და მატერიალური რესურსების დეპარტამენტის
უფროსი მალხაზ ხოფერია ----------

სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის
უფროსი ირაკლი ნოსელიძე ----------

მონიტორინგის დეპარტამენტის
უფროსი მირიან ბიჭიკაშვილი ----------

გენერალური დირექტორის მოადგილე კარლო ლაფერაძე ----------

ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www. Rustaveli.org.ge.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2013 წლის 25 თებერვალი
№ 07 ბრძანებით
დანართი N1

სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის - ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის
პროგრამა და პირობები 2013

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) მიზანია:

ა) საერთაშორისო საზაფხულო სკოლ(ებ)ის ორგანიზება;

ბ) ქართველოლოგიური მეცნიერებების განვითარების ხელშეწყობა და მეცნიერთა სამომავლო თანამშრომლობისათვის საფუძვლის მომზადება;

გ) ქართველოლოგიური მეცნიერებების პოპულარიზაცია.

მუხლი 2. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. საგრანტო კონკურსს ადმინისტრირებას უწევს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი).

2. ფონდი უზრუნველყოფს:

ა) საერთაშორისო საზაფულო სკოლ(ებ)ის კონკურსის გამოცხადებას;

ბ) კონკურსის გამართვისა და საზაფხულო სკოლის ორგანიზებისათვის განაცხადების (პროექტების) მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას;

გ) კომისიის შექმნას, რომელიც „ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის გრანტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის N150 დადგენილებით დამტკიცებული „ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის გრანტების გაცემის წესით“ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად შეაფასებს წარმოდგენილ განაცხადებს (პროექტებს);

დ) კომისიის მიერ დასაფინანსებლად შერჩეულ პრეტენდენტთა გამოვლენასა და სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებას;

ე) გამარჯვებული პროექტების დაფინანსებასა და მათი შესრულების მონიტორინგს დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 3. სუბიექტები

1. კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდში განაცხადის შეტანის უფლება აქვთ:

ა) საქართველოს მოქალაქეს (მაგისტრი, დოქტორანტი, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ან მათთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი).

ბ) საქართველოში რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, რომლის წესდების/დებულების მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, სსიპ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას; საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან კონკურსში იურიდიული პირის სტატუსით მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

მუხლი 4. ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება

1. ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს.
2. ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება შესაძლოა ითვალისწინებდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:

ა) ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის ორგანიზატორთა ან/და დამხმარე პერსონალის ანაზღაურება;

ბ) ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის მონაწილეთა სასტუმროს ხარჯი;

გ) ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის მონაწილეთა ტრანსპორტირების ხარჯი;

დ) ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის მონაწილეთა კვების ხარჯი;

ე) ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლისათვის საჭირო აპარატურის შესყიდვის ან/და დაქირავების ხარჯი;

ვ) ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლისათვის საჭირო დარბაზ(ებ)ის დაქირავების ხარჯი;

ზ) სხვა საქონლისა და მომსახურების (საკანცელარიო და სხვ.) ხარჯი.

3. პროექტი შესაძლოა ითვალისწინებდეს თანადამფინანსებლის არსებობას.

მუხლი 5. კონკურსის ეტაპები

კონკურსის ძირითადი ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) შემოსული პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

დ) პროექტების შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ;

ე) დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცება ფონდის სამეცნიერო საბჭოს მიერ;

ე) დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტებში მონაწილე გრანტის მიმღებ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირ(ებ)თან ხელშეკრულებების გაფორმება.

მუხლი 6. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

1. 2013 წლის ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის გრანტების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი პირობაა პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია.

2. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს:

ა) იურიდიულმა პირებმა:

ა.ა) შევსებული განცხადების ფორმა (ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული);

ა.ბ) საპროექტო წინადადება (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ა.გ) პროექტის ბიუჯეტი (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ა.დ) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ა.ე) სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (უნდა აიტვირთოს PDF ფაილის სახით ფონდის ვებ-გვერდზე);

ა.ვ) პროექტის რეზიუმე ინგლისურ ენაზე (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ბ) ფიზიკურმა პირებმა:

ბ.ა) შევსებული განცხადების ფორმა (ხელმოწერილი);

ბ.ბ) საპროექტო წინადადება (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ბ.გ) პროექტის ბიუჯეტი (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ბ.დ) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ბ.ე) პროფესიული ავტობიოგრაფია (CV) (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ბ.ვ) პროექტის რეზიუმე ინგლისურ ენაზე (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ბ.ზ) გრანტის მაძიებლის პირადობის მოწმობის სრული ასლი (უნდა აიტვირთოს დასკანერებული, PDF ფაილის სახით ფონდის ვებ-გვერდზე);

ბ.თ) გრანტის მაძიებლის მუშაობის ან/და განათლების/ სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (უნდა აიტვირთოს PDF ფაილის სახით ფონდის ვებ-გვერდზე);

ბ.ი) იმ ორგანიზაციის თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც განხორციელდება პროექტი (ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით) (უნდა აიტვირთოს PDF ფაილის სახით ფონდის ვებ-გვერდზე);

ბ.კ) 2 სარეკომენდაციო წერილი (იმ მეცნიერებისგან, ვინც კარგად იცნობს კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით და საორგანიზაციო საქმიანობას) (უნდა აიტვირთოს PDF ფაილის სახით ფონდის ვებ-გვერდზე).

3. პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელია 2013 წლის 26 თებერვლიდან 28 მარტის 24:00 სთ-მდე. ელექტრონულად დარეგისტრირებული პროექტებისათვის პროექტის წარმომდგენი იურიდიული ან ფიზიკური პირების განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2 აპრილის 18:00 საათისა. ვადის დარღვევით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში აღარ მიიღება.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. საკონკურსო კომისია (შემდგომში - კომისია) იქმნება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით 9 წევრისაგან, რომელშიც 2 წევრი წარმოადგენს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, 3 – საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ან/და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ხოლო 4 – ფონდს.

2. კომისიის თავმჯდომარე არის ფონდის გენერალური დირექტორი ან მის მიერ კომისიის შემადგენლობიდან დანიშნული პირი.

3. კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს ირჩევს კომისია თავისი შემადგენლობიდან.

4. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 5 წევრი მაინც.

5. კომისიის სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - თავმჯდომარის მოადგილე.

6. კომისია:

ა) ამტკიცებს იმ კონკურსანტთა სიას, რომელთა განაცხადები არ შეესაბამება ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის შესახებ;

ბ)განიხილავს კონკურსანტების განაცხადებს (საკონკურსო დოკუმენტაციას) და ახდენს მათ შეფასებასა და შერჩევას.

7.ფონდს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, კომისიაში მოიწვიოს ექსპერტი სათათბირო ხმის უფლებით.

მუხლი 8. ინტერესთა კონფლიქტი

1.დაუშვებელია კომისიის წევრი იყოს პირი, რომელიც არის ამავე კონკურსის მონაწილე.

2. არ შეიძლება პროექტების დამტკიცების პროცესში მონაწილეობდეს სამეცნიერო საბჭოს ის წევრი ან კომისიის წევრი იყოს ის პირი:

ა) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია პროექტის მონაწილეებთან ან მონაწილეობდა მათთან ერთსა და იმავე სამეცნიერო–კვლევით პროექტში ან მუშაობს ერთსა და იმავე სტრუქტურულ ერთეულში (ფაკულტეტი, ინსტიტუტი, დეპარტამენტი);

ბ) რომელმაც შესაძლოა მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;

გ) რომელსაც აქვს პროექტის თემატიკის ან კვლევის მეთოდიკის შესახებ პროექტის ავტორებისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიცია;

დ) რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე პროექტში; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის ნათესავია; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია; იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; შრომით ურთიერთობაშია პროექტში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან.

3. ამ დებულების მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

4. სამეცნიერო საბჭოს წევრი და კომისიის წევრი ვალდებულია სამეცნიერო საბჭოს/ფონდის გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს კომისიის წევრის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმებასთან დაკავშირებით.

მუხლი 9. საგრანტო ხელშეკრულება

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტებში მონაწილე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირ(ებ)თან.

მუხლი 10. საგრანტო პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. გრანტის მიმღებმა ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის მუშაობის დასრულების შემდეგ 15 დღის განმავლობაში ფონდს უნდა წარუდგინოს ჩატარებული ღონისძიების (ხელმოწერილი და ბეჭედდასმული) ანგარიში, რომელიც შედგება ფინანსური და პროგრამული ნაწილისაგან.

2. ფინანსურ ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი შესრულებული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა.

3. პროგრამული ანგარიში უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სტატუსს (საერთაშორისო/ადგილობრივი);

ბ) საზაფხულო სკოლის თემატიკას;

გ)საზაფხულო სკოლის მუშაობის ხანგძლივობას;

დ)პროექტის განხორციელების ადგილს;

ე)მონაწილე უცხოელ სტუდენტთა რაოდენობას;

ვ)საზაფხულო სკოლის მუშაობის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებს;

ზ)ამასთანავე, პროგრამულ ანგარიშს უნდა ერთვოდეს საზაფხულო სკოლის პროგრამა და ვიზუალური მასალა (ფოტო, ვიდეო, DVD). ყველა ეს ინფორმაცია ჩაწერილი უნდა იყოს კომპაქტდისკზე (CD).

4. გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი პროგრამული ანგარიში, ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალა შესაძლებელია ფონდმა გამოიყენოს თავის ვებგვერდზე განთავსების, საქმიანობის ანგარიშში ჩართვის, სხვა ბეჭდვით ან ელექტრონულ პროდუქციაში გამოყენების მიზნით.

5. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური

დირექტორის 2013 წლის 25 თებერვალს

№ 07 ბრძანებით

დანართი N2

განცხადება

კონკურსში მონაწილეობის შესახებ

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს

1.	ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის სახელწოდება	
2.	ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის ჩატარების პერიოდი	

მოგახსენებთ, რომ გავეცანი ,,ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის გრანტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის № 150 დადგენილებას, კონკურსის პროგრამა და პირობებს, ვეთანხმები და ვაღიარებ მათ სავალდებულო დაცვას. პასუხისმგებელი ვარ სააპლიკაციო ფორმაში მითითებული ინფორმაციის სიზუსტეზე. ამასთანავე, ვაცნობიერებ, რომ არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში პროექტი მოიხსნება კონკურსიდან. გთხოვთ, განიხილოთ ჩემი განცხადება 2013 წელს ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის გრანტის მისაღებად.

☐ წამყვანი ორგანიზაცია (ივსება მხოლოდ იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი განაცხადის შემთხვევაში)

წამყვანი ორგანიზაციის სახელწოდება	*წამყვანი ორგანიზაციის სტატუსი*	*წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელის სახელი, გვარი*	*ხელმოწერა*

ბეჭედი:

☐ შემსრულებლები

№	სახელი, გვარი	როლი პროექტში	ხელმოწერა
1.			
2.			
3.			

☐ ინფორმაცია თანადაფინანსების შესახებ (ივსება თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში)

თანადამფინანსებელი	*თანადაფინანსების მოცულობა*	*ხელმოწერა*

ბეჭედი:

განმცხადებლის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____